ხელშეკრულება №49

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქვემო ალვანი 9 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის *იური მრელაშვილის* სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი **ვახტანგი გიგოიძე** (შემდგომში - მიმწოდებელი),. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ***28 მ³ შეშის დაჭრა - 98300000 cpv კოდით*** შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **315 (სამას თხუთმეტი ლარი*) ლარს.*** (დარიცხული)

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, მისამართზე (ქვემო ალვანის საჯარო სკოლა).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრამდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
ვახტანგი გიგოიძე	სსიპ- ქვემო ალვანის საჯარო სკოლა
მის: ქ.ახმეტა. ქვემო ალვანი	მისამართი: ახმეტა ქვემო ალვანი 0193 ტელეფონი: 591012622 საიდენტიფიკაციო კოდი: 224617449 საბანკო რეკვიზიტები: სს,,ლიბერთი ბანკი "ახმეტის
ტელეფონი:	
პN 08001002213	
საბანკო რეკვიზიტები: სს,,ლიბერთი ბანკი"	საბანკო კოდი : LBRTGE22 ა/ ა: GE94 LB0121191315391000 GEL
საბანკო კოდი: LBRTGE22	
ა/ ა: GE88LB0288870040008100	
მიმწოდებელი	სკოლის დირექტორი
---------- /ვ. გიგოიძე /	---------- /ი. მრელაშვილი/
9 ნოემბერი 2016 წ	9 ნოემბერი 2016 წ.

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

2. შესყიდვის ობიექტია შემდეგი:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	შეშის დაპობა	$მ^3$	28	11,25	315,0
	სულ თანხა				315,0 ლ

შემსრულებელი:

/ვ. გიგოიძე/

9 ნოემბერი 2016 წელი

დამკვეთი:

/ი. მრელაშვილი/

9 ნოემბერი 2016 წელი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 4520

თარიღი: 2016 წლის 09 12, პარასკევი

GEL	
GEL	
252.00	
თანხა სიტყვიერად	
ორას ორმოცდათორმეტი GEL და 00	

გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქვემო ალვნის სკოლა		
		ანგარიში (დებეტი):	GE94LB0121191315391000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:			
საიდენტიფიკაციო კოდი:		საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	ვახტანგი გიგოიძე		
საიდენტიფიკაციო კოდი:	08001002213	ანგარიში (კრედიტი):	GE88LB0288870040008100
მიმღების ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადახდის დანიშნულება:	შესრულებული მომსახურების ანაზღაურება		

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 09.12.2016

ხელმოწერა:

ხელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 4521

თარიღი: 2016 წლის 09 12, პარასკევი

GEL	
GEL	
63.00	
თანხა სიტყვიერად	
სამოცდასამი GEL და 00	

გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქვემო ალვნის სკოლა		
		ანგარიში (დებეტი):	GE94LB0121191315391000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:			
საიდენტიფიკაციო კოდი:		საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	101001000 გადასახადები - გადასახადების ერთიანი კოდი
მიმღების დასახელება:	ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში		
საიდენტიფიკაციო კოდი:		ანგარიში (კრედიტი):	200122900
მიმღების ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი:	TRESGE22
გადახდის დანიშნულება:	საშემოსავლო		

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 09.12.2016

ხელმოწერა:

ხელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

აქტი №3 - 17

ქვემო ალვანი 9 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ: სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი დარო ელანიძე, დამლაგებლები: თინათინ ზაქიროვი, ელისაბედ ჯამრულიძე, მარო ქააძე და მეორე მხრივ: ვახტანგი გიგოიძე ვადგენთ აქტს მასზედ, რომ:

ვახტანგი გიგოიძემ ხელშეკრულება №49 -ის საფუძველზე, ქვემო ალვანის საჯარო სკოლაში 9 ნოემბრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით დააპო 28 მ³ შეშა.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ:

დარო ელანიძე ----------

თინათინ ზაქიროვი ----------

ელისაბედ ჯამრულიძე ----------

მარო ქააძე ----------

ვახტანგი გიგოიძე ----------